PDF Eraser Free

დანართი №2

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: **ირმა ღარიბაშვილი**
წევრი: **თამარ ახალაძე**

(ქ. თბილისი. 2020 წ)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **კოლეჯი „ლაკადა“**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი[redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - კოლეჯ ,,ლაკადას'' მიერ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2020 წლის 15 ივნისს წარმოდგენილ იქნა განაცხადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მეხილეობა" (ცენტრში რეგისტრაციის №464133) დამატების შესახებ.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 01 ივლისის ბრძანების (№547098) მიხედვით შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა) ირმა ღარიბაშვილი - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი (თავმჯდომარე);

ბ) თამარ ახალაძე - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი (წევრი).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობა წარიმართება დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით. ინტერვიურება განხორციელდა კოლეჯის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სწავლების განმახორციელებელ პირებთან, ბიბლიოთეკართან, პარტნიორი კომპანიების წარმომადგენლებთან. სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს წინასწარ გადაეგზავნათ კოლეჯის მიერ ცენტრში წარდგენილი განაცხადი პროგრამის დამატების შესახებ და სხვა საჭირო დოკუმენტაცია. ექსპერტებმა წინასწარ შეისწავლეს აღნიშნული დოკუმენტაცია და კოლეჯიდან ოფიციალურად გამოითხოვეს დამატებითი დოკუმენტაცია. ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშვა „ვიზიტის დღის წესრიგი“, რომელიც წინასწარ გადაეგზავნა კოლეჯს. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობა დისტანციურად გაიმართა 10 ივლისს დღის 12:00 საათზე. გასაუბრება ჩატარდა პლატფორმა „ზუმის“ მეშვეობით. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა ,,მეხილეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

გასაუბრება წარიმართა კომფორტულ, პოზიტიურ და კონსტრუქციულ ვითარებაში დღის წესრიგის შესაბამისად (იხ. დანართი 1).

სსიპ-კოლეჯ „ლაკადას“ 6 წლის ვადით მიენიჭა პროფესიული საგანამანთლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი **2019 წლის 14 აგვისტოს, N148** პროფესიული საგანმანათებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გაგადაწყვეტილებით.

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

–

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ქვესტანდარტი 1.1.

-სასურველია გადაიხედოს რეგულაციები და წარმოებული დოკუმენტები ტექნიკური უზუსტობების გამორიცხვის მიზნით (ერთ საგანთან/პირთან/პროცესთან მიმართებაში გამოყენებული ტერმინების, დასახელებების, პოზიციების დაზუსტება/ერთგვაროვნად მოხსენება; თავების/მუხლების/პუნქტების ნუმერაცია და მათი რეფერენსირების დროს გამოყენება);

-უმჯობესია გადაიხედოს რეგულაციები წესების დაზუსტების მიზნით (ჩანაწერი გახდეს მკაფიო თუ რამდენჯერ აქვს პროფესიულ სტუდენტს უფლება მოითხოვოს სწავლის შედეგების განმეორებითი შეფასება);

-მიზანშეწონილია გადაიხედოს საწარმოებთან გაფორმებული დოკუმეტები, მემორანდუმისა და ხელშეკრულების შედგენის პრონციპების გათვალისიწნებით(მემორანდუმს მიეცეს მთავარ საკითხზე ურთიერთშეთანხმების გამოხატვის სახე, ხოლო კონკრეტული ვადები და პირობები დარეგულირდეს ხელშეკრულებით; შეთანხმების საგანში ფიგურირებდეს „გაცნობითი პრაქტიკის“ მოდულის დასახელება).

ქვესტანდარტი 1.6.

ექსპერტების აზრით, უმჯობესია კოლეჯს ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დამტკიცებულ დოკუმეტებს მიეცეს კონსოლიდირებული სახე, რეგულაციებში გადაფარვის გამორიცხვისა და სისტემაში მოყვანის მიზნით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

ინტერვიურებისას კოლეჯის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა აღნიშნა, რომ მათ მიერ გათვალისწინებულ იქნა ყველა რეკომენდაცია, რომელიც გაიწერა ექსპერტთა მიერ წინა ვიზიტის ფარგლებში .

VI.გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

- ხარვეზი არ დაფიქსირებულა.

VII.რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაცია

2.2.1. (1). სასურველია კოლეჯმა მოახდინოს იმ მოდულების სწავლის შედეგების იდენტიფიცირება, რომლის სწავლებაც იგეგმება კოლეჯის სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე.

გაუმჯობესების რეკომენდაციები

2.1.1. (3). სასურველია გადაიხედოს „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ გარკვეული უზუსტობების გამორიცხვის მიზნით. კერძოდ: რეკომენდირებულია აღნიშნულ დოკუმენტში გადაიხედოს და აზრობრივად გაიმართოს მუხლი 2.

2.2.1. (7). სასურველია ბიუჯეტის ხარჯების ნაწილში, ბიუჯეტის პროცენტული მაჩვენებლების სვეტში განსაზღვრულ პროცენტულ მაჩვენებლებში გასწორდეს უზუსტობა.

2.2.1. (1). „მეხილეობის“ პროგრამის 23 სავალდებულო მოდულს ახორციელებს 2 პროფესიული განათლების მასწავლებელი. სასურველია კოლეჯმა დაიმატოს კიდევ ერთი განმახორციელებელი პირი, ორცვლიანი სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვის მიზნით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

2.4.1. (5) სასურველია შპს „გემუანთან“ გაწერილი ხელშეკრულება გაფორმდეს ერთ წელზე მეტი ვადით, მინიმუმ პროგრამის განხორციელების ვადის დასრულებამდე.

VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

პროგრამის სახელწოდება	მეხილეობა/ Fruit Production
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სოფლის მეურნეობაში/ Secondary Vocational Qualification in Agriculture
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0811
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	სსიპ-კოლეჯის „ლაკადა“ დირექტორის მ/შ ბრძანება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის - სოფლის მეურნეობის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მეხილეობა“ № 04/35, 12.06.20. ცვლილება განხორციელდა 23.06.2020 # 37 ბრძანებით.
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი. ქ. ჯვარი. ყაზბეგის ქ. №2

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	**მოდულური**
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	**წალენჯიხის მუნიციპალიტეტი. ქ. ჯვარი. ყაზბეგის ქ. №2 30 პროფესიული სტუდენტი. მოდულური.**
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან,პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს*(არსებობის შემთხვევაში).*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	**90**
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	**120**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება პროგრამისთვის „მეხილეობა“.

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐	■	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლოპროგრამებისშეფასებადაგანვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

2.საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებასდაშეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯ „ლაკადას“ მისიაა „სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვით უზრუნველყოფს სტუდენტთა პროფესიული განათლების მაღალი დონის მიღწევას რეგიონისა და ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებთათვის. კოლეჯი ორიენტირებულია კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებასა და დასაქმებაზე“.

კოლეჯს შემუშავებული აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის, სსიპ კოლეჯი "ლაკადა"-ს დირექტორის 2019 წლის 30 დეკემბრის N04/121 ბრძანებით. ერთწლიანი სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია ამოცანები, აქტივობა თვეების მიხედვით. თვითოეული აქტივობისთვის განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი, შემსრულებელი და ინდიკატორი. კოლეჯს შემუშავებული აქვს 2020-2026 წწ. სტრატეგიული გეგმა. სტრატეგიულ გეგმაში განსაზღვრულია SWOT-ანალიზი და სტრატეგიული მიზნები. შემუშვებულია 2020-2027 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის განხორციელების გრაფიკი. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს კოლეჯის სტრატეგიული გეგმიდან.

კოლეჯმა წარმოადგინა გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ, რომელიც დაფუძნებულია პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დოკუმენტზე.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების მეთოდოლოგია“ (დამტკ. 11.06.2020 ბრძანება №04/33), სადაც გაწერილია, რომ საგანამანათლებლო პროგრამის შეუშავება ხორციელდება საგანამანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ხარისხის მართვის მენეჯერის ხელმძღვანელობით. პროგრამის დამატებისთვის კი კოლეჯის პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი მოიპოვებს და ამუშავებს შემდეგი სახის ინფორმაციას:

ა) კურსდამთავრებულთა ბაზრის ანალიზი-ახალ პროფესიულ საგანამანათლებლო პროგრამაზე სწავლის სურვილისა და დასაქმების შესახებ;

ბ) სტატისტიკურ მონაცემებს დასაქმებულთა მაჩვენებლის მიხედვით;

გ) შრომის ბაზრის კვლევის მონაცემებს და დასაქმებულთა კონკრეტულ მოთხოვნებს.

წარმოდგენილია „პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება“, სადაც განმარტებულია, რომ დაწესებულებამ ჩაატარა კვლევები. კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

გამოიკითხა შესაბამისი საქმიანობის განმახორციელებელი დაწესებულებების მენეჯერები, რომელთაც გამოთქვეს თანამშრომლობის სურვილი და შესაძლებლობის ფარგლებში პროფესიული სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობა. კვლევის ფარგლებში გამოიკითხა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 15-მდე საჯარო სკოლის 170 მოსწავლე (8-12 კლასი), წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 9 თემის ხელმძღვანელი პირი, რომელთაც დაწესებულებას მიაწოდეს ინფორმაცია საკუთარ თემში მოთხოვნადი პროფესიების შესახებ, ასევე გამოიკითხა გალის რესურსცენტრის ხელმძღვანელი პირი, რომელმაც მიაწოდა ინფორმაცია მის დაქვემდებარებაში მყოფი სკოლების მოსწავლეების საორიენტაციო შეხედულებებზე პროფესიების შესახებ. აღნიშნული კვლევების საფუძველზე გამოკითხულთა 61% მოთხოვნად პროფესიად დაასახელა მეხილეობა. დაწესებულებამ წარმოადგინა მტკიცებულებები აღნიშნულ კვლევასთან დაკავშირებით.

გადამოწმდა საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესაბამისობა მისიასთან და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან.

ექსპერტთა შეფასებით, პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

2.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების) საფუძველზე შექმნილ „მეხილეობის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში დეტალურადაა გაწერილი პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები. კერძოდ, პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა - სრული ზოგადი განათლება. “სსიპ-კოლეჯ „ლაკადას“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში“ (დამტკიცებული დირექტორის მ/შ-ის 18.05.2020 წლის N04/22 ბრძანებით) განსაზღვრულია პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები, რომელიც ითვალისწინებს ჩარიცხვის პროცესთან დაკავშირებულ ყველა პროცედურას. დოკუმენტი ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანებით დამტკიცებულ პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულებას. (ცვლილება (28.05.2020 N59/ნ). საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები, გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3.კოლეჯის მიერ წარმოდგენილია სსიპ პროფესიული კოლეჯი „ლაკადა“-ს დირექტორის მ/შ 2018 წლის 21 აგვისტოს N158 ბრძანება - „სსიპ პროფესიული კოლეჯი „ლაკადა“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“. მეთოდოლოგია განსაზღვრულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 331 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად. დოკუმენტში გაწერილია ზოგადი დებულებები, კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დროს გასათვალისწინებელი გარემოებები. კერძოდ, დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება:

- A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა.
- B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა.

<u>**კოლეჯს მიეცა რეკომენდაცია, რომ აღნიშნულ დოკუმენტში სასურველია გადაიხედოს და აზრობრივად გაიმართოს შემდეგი ჩანაწერი:**</u>

<u>**-მუხლი 2.** კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დროს გასათვალისწინებელი გარემოებები:</u>

<u>„2.1.პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მიზნით, საინფორმაციო ბაზაზე პასუხისმგებელი პირი), დირექტორის მოადგილე და სასწავლო პროცესის მენეჯერი;</u>

<u>2.1.1. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა რეგისტრაციის რაოდენობის შესახებ“.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

„მეხილეობის“ პროგრამის განხორციელებისთვის საჭიროა A გარემო თეორიული სწავლებისათვის და B გარემო პრაქტიკული მეცადინეობისათვის. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი „სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთების დანართის“ მიხედვით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მოთხოვნილია კვოტა განსაზღვრულია **30 პროფესიულ სტუდენტზე.** ინტერვიურებისას კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კონკრეტული პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია ერთი A გარემო და ერთი B გარემო, თითოეული გარემოს ფართი და მატერიალური რესურსი გათვლილია **15 პროფესიულ სტუდენტზე.** სწავლება განხორციელდება ორ ცვლაში. სასწავლო გარემოს ვიზუალური დათვალიერებისას დადასტურდა აღნიშნული პირობა. წარმოდგენილ პროგრამის მე-9 მუხლის (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება) მიხედვით სავალდებულო პროფესიული მოდულები მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.

ექსპერტთ შეფასებით, პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.

4. საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებულია როგორც მატერიალური რესურსი, ისე საგანმანათლებლო რესურსი. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტთან, კერძოდ, პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია A და B გარემო. აღნიშნული გარემო უზრუნველყოფილია მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით. პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი განთავსებულია კოლეჯის ბიბლიოთეკაში, დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის. აღსანიშნავია, რომ პრაქტიკული ნაწილის სწავლება განხორციელდება რეალურ სამუშაო გარემოში.

ექსპერტთ შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5.პროგრამას არჩევითი მოდული არ გააჩნია.

6.საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 19.06.2019წ N125/ნ ბრძანებითდამტკიცებულია სსიპ-კოლეჯ „ლაკადას“ წესდება, რომლის მიხედვით (მუხლი 5. ქვეპუნქტი „ი“) დირექტორი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free
საქართველოს კანონმდებლობითა და წესდებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით გამოსცემს ინდივიდუალურად მინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს - ბრძანებას.
დაწესებულებას N04/32 ბრძანებით (11.06.2020 წ.) დამტკიცებული აქვს პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამის დამტკიცების, ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესი, რომლის მუხლი 1-ით (ქვეპუნქტი 3) განსაზღვრულია, რომ კომისიის მიერ პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, კოლეჯის დირექტორი ამტკიცებს პროფესიულ საგანამანათლებლო პროგრამას, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
კოლეჯში საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცება ხდება დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის - დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ 2020 წლის 12 ივნისის N04/35 ბრძანებით.
ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ.

7„მეხილეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება იდენტურია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში მოცემული „მეხილეობის“ კონცენტრაციის, რომლის საფუძველზეც შეიქმნა აღნიშნული პროგრამა.
ექსპერტთ შეფასებით, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8.პროგრამის შემუშავების საფუძველს წარმოადგენს შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტი (საგანმანათლებლო სტანდარტი) „სოფლის მეურნეობა“, სარეგისტრაციო ნომერი: 09114-3. პროგრამის ძირითადი დოკუმენტით განსაზღვრულია - პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია. კოლეჯის მიერ წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მეხილეობა", (დირექტორის მ/შ ბრძანება № 04/35, 12.06.20. ცვლილება განხორციელდა 23.06.2020 №37 ბრძანებით).
- სასწავლო გეგმა.
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №125/ნ 2019 წლის 19 ივნისი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კოლეჯ „ლაკადას“ წესდების დამტკიცების შესახებ“.
- „ერთწლიანი სამოქმედო გეგმა“ დამტკიცებული დირექტორის მ/შ მიერ N04/121 ბრძანებით (30.12.2019).
- „სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა“ 2020-2026 წწ.
- „სსიპ პროფესიული კოლეჯი „ლაკადა“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“. დამტკიცებული დირექტორის მ/შ მიერ N158 ბრძანებით (21.08.2018).
- „პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამის დამტკიცების, ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესი“, დამტკიცებული დირექტორის მ/შ მიერ N04/32 ბრძანებით (11.06.2020 წ).
- „ბიბლიოთეკის მუშაობის წესი“, დამტკიცებული დირექტორის მ/შ მიერ N04/37 ბრძანებით (14.05.2019).
- მემორანდუმები პარტნიორ ორგანიზაციებთან.
- პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთება 2020 წ.
- ინტერვიურება კოლეჯის წარმომადგენლებთან.
- ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

☒შეესაბამება
☐მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

2.2. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.დისტანციური საქმის წარმოებისას ექსპერტების მიერ გადამოწმებული იქნა „მეხილეობის“ პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით კოლეჯს გაფორმებული აქვს მემორანდუმი და ხელშეკრულებები ოთხ კომპანიასთან.

- შპს „გემუანი“ (ხელშეკრულების გაფორმების თარიღი: 10.06.2020)
- [redacted](ხელშეკრულების გაფორმების თარიღი: 10.06.2020)
- შპს „გეო ფრეში“ (ხელშეკრულების გაფორმების თარიღი: 10.06.2020)
- [redacted](მემორანდუმის გაფორმების თარიღი: 12.06.2020)

<u>**ხელშეკრულების მიხედვით თვითოეული პარტნიორი კომპანია უზრუნველყოფს არაუმეტეს 15 სტუდენტის სასწავლო პრაქტიკის გატარებას.**</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free
მემორანდუმი/ხელშეკრულებები მოიცავს დანართს, სადაც კონკრეტულად არის გაწერილი პრაქტიკის ხანგრძლივობა კვირისა და საათების მითითებით. ასევე ცხრილის სახით მოცემულია მატერიალური რესურსის ჩამონათვალი, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება სწავლების განხორციელება. მემორანდუმსა და ხელშეკრულებებში გაწერილია მოდულები სწავლის შედეგების მითითებით, რომლის შესწავლაც უნდა განხორციელდეს კომპანიაში.

აღსანიშნავია, რომ გარდა ხელშეკრულებებში განსაზღვრული სწავლის შედეგებისა, სასწავლო პროგრამა მოიცავს სხვა პრაქტიკული სწავლის შედეგებს. ინტერვიურებისას პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ კოლეჯის ბაზაზე განახორციელებს დარჩენილი მოდულების სწავლის შედეგების მიღწევას. ექსპერტთა მოთხოვნის საფუძველზე, კოლეჯის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (მიწის უძრავი ქონების საკადასტრო კოდი N47.14.41.282). აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, კოლეჯს უვადო სარგებლობაში აქვს აღებული არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების 2411.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (დაზუსტებული ფართობი). ნაკვეთის მესაკუთრედ ფიქსირდება -სახელმწიფო **(დანართი 2).** კოლეჯის ადმინისტრაციის განმარტებით, ამ მიწის ნაკვეთზე განხორციელდება იმ პრაქტიკული კომპონენტების შედეგების მიღწევა, რომელსაც ვერ უზრუნველყოფს პარტნიორი კომპანიები.

კოლეჯს არ აქვს განსაზღვრული, თუ რომელი მოდულების კომპონენტების განხორციელება მოუწევს მათ სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა მხრიდან გაიწერა რეკომენდაცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. **სასურველია დეტალურად გაიწეროს ის სწავლის შედეგები რომლის მიღწევაც იგეგმება კოლეჯის ბაზაზე.**

კოლეჯმა წარმოადგინა გაუმჯობესების გეგმა, სადაც გაწერილია, რომ საკუთარი სახსრებით შეიძენს განაცხადის N4 დანართში გაწერილ მატერიალურ რესურსებს. სავარაუდო ღირებულებად მითითებულია - 11 500 ლარი. რესურსების შეძენის ვადად განსაზღვრულია 25.05.2020 წ-დან 25.12.2020 წ-მდე პერიოდი. ინტერვიურებისას კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აღნიშნული რესურსის შეძენა განხორციელდება გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში. მათთან დაიწყებენ მოლაპარაკებებს, რათა შესყიდვის ვადები შეიცვალოს და მასალების შეძენა მოესწროს სწავლის დაწყებამდე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

ექსპერტთ შეფასებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა მეტწილად უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2.“მეხილეობის“ პროგრამის განხორციელებისთვის პსდ-ს ზოგად მოდულზე გაფორმებული აქვს ხელშეკრულება 8 პროფესიულ მასწავლებელთან, ხოლო პროფესიულ დარგობრივ მოდულებზე 2 პროფესიულ მასწავლებელთან. პროფესიული განათლების მასწავლებლის (საშტატო) დატვირთვის გაანგარიშებისას კოლეჯი ითვალისწინებს მასწავლებლის მიერ განსახორციელებელ ისეთ აქტივობებს, როგორიცაა - მოდულის ადაპტირება, შეფასების ინსტრუმენტების შექმნა, სტუდენტთა ნაშრომების გასწორება, შეფასების პროცესი და სხვ. პროფესიული მასწავლებლის დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს.
აღსანიშნავია, რომ ექსპერტთა მიერ გადამოწმდა პროფესიული პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებები.
ექსპერტთა შეფასებით, პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა და დატვირთვა, რომელიც სასწავლო გეგმაში და ხელშეკრულებებშია გაწერილი, უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3.პროფესიული მასწავლებლების კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება იძლევა იმის საშუალებას, რომ პროფესიულმა მასწავლებლებმა უზრუნველყონ პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციით აღჭურვა.
რაც შეხება შეფასებას, დარგობრივი პროფესიული მოდულის განმახორციელებელ პირებს არ აქვთ მოდულურ პოგრამაზე სწავლების გამოცდილება, შესაბამისად პსდ გეგმავს პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის მიზნობრივი ტრეინინგების ჩატარებას, რაც ასევე გაწერილია პსდ-ს სტარტეგიული განვითარების გეგმაში და სამოქმედო გეგმაში. პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიურებისას დადგინდა, რომ საჭიროებენ ტრენინგებს სწავლების თანამედროვე მეთოდებში და შეფასების საკითხებში.
პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებულია „წინმსწრები ხელშეკრულებები“. ხელშეკრულების საგანში გაწერილია ის მოდულები, რომლებსაც განახორციელებს მასწავლებელი. ხელშეკრულების შინაარსი მოიცავს შრომის კანონმდებლობით მოთხოვნილ არსებით პირობებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

პსდ-ს „შინაგანაწესში“ (დამტკ. 18.05.2020 ბრძ. N04/22) თავი 2; მუხლი 6. განსაზღვრული მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნების საფუძველზე დადგინდა, რომ დაწესებულების მიერ „მეხილეობის“ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები შეესაბამებიან დაკავებულ თანამდებობს და აკმაყოფილებენ მათ მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს.

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

4.დაწესებულებას, პროგრამის ხელმძღვანელად განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირი. შემოწმებულ იქნა პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე. პროგრამის ხელმძღვანელი კორდინაციას უწევს საგანამანთლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პროფესიული განათლების მასწავლებლების/ განმახორციელებელების საქმიანობას. პროგრამასთან/მოდულთან დაკავშირებულ ინფორმაციას აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და სხვა დაინტერესებულ პირებს. დოკუმენტაციის მიხედვით, მას დაუდასტურდა შესაბამისი დარგობრივი კომპეტენცია. ინტერვიურებისას პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ის მრავალი წელია მუშაობს სპეციალობის მიხედვით. თუმცა მოდულური მიდგომით სწავლების გამოცდილება მიმდინარე ეტაპზე არ გააჩნია. მან გამოხატა მზაობა ტრენინგებზე დასწრებასთან დაკავშირებით. კოლეჯის ხარისხის მენეჯერმა აღნიშნა, რომ აქტიურად ჩაატარებს ტრენინგებს პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის ყველა საჭირო თემატიკასთან დაკავშირებით.

პროგრამის ხელმძღვანელი შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას და აკმაყოფილებს მის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს.

ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის დარგობრივი კომპეტენციის გამომუშავებას. დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია ბიბლიოთეკაში როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული სახით. ექსპერტთა მიერ დისტანციურად ვიზუალური დათვალიერებისას გადამოწმდა აღნიშნული ლიტერატურა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

საგანმანათლებლო რესურსები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. საბიბლიოთეკო სივრცე საშუალებას იძლევა, რომ პროფესიულმა სტუდენტმა იმუშაოს დამოუკიდებლად, მოიძიოს მისთვის საჭირო ინფორმაცია ინტერნეტით და მიიღოს ბიბლიოთეკარის კვალიფიციური მომსახურეობა. დისტანციური საქმის წარმოებისას დადგინდა, რომ პროფესიული სტუდენტები იყენებენ სასწავლო რესურსებს, რის დასტურადაც ბიბლიოთეკარმა წარმოადგინა პროფესიული სტუდენტების მიერ ბიბლიოთეკიდან სასწავლო რესურსებით სარგებლობის დამადასტურებელი შევსებული ჟურნალი.

ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

6.საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კოლეჯ „ლაკადას“ წესდების პირველი თავის მე-4 მუხლში განსაზღვრულია კოლეჯის ფუნქცია, რომლის „ბ“ პუნქტში გაწერილია ინკლუზიური პროფესიული განათლების განხორციელების პირობების შექმნის შესახებ. საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისა და მსმენელისათვის შეიმუშავოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომლის შესაბამისადაც განხორციელდება პროფესიული სტუდენტისა და მსმენელის სწავლება, სოციალური ადაპტაცია და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაცია. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ (ბრძ.№04/22. 18.05.2020 წ) მე-5 მუხლში გაწერილია სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები. აღნიშნულ დოკუმენტში 5.5 ქველუნქტში გაწერილია, რომ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება სწავლის დაწყებიდან ერთი თვის განმავლობაში მასწავლებლისა და ინკლუზიური განათლების სპეციალისტის მიერ.

„პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესში“ (დამტკ. 2017 წლის 2 ნოემბრის N230 ბრძანებით) მე-4 მუხლის მიხედვით, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტები არიან კომისიის სავალდებულო წევრები. ამავე დოკუმენტის მე-9 მუხლი განსაზღვრავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტის ჩარიცხვის წესს. აპლიკანტის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურების ან უარყოფის მიზნით, ამ მუხლის გათვალისწინებული რეგისტრაციის მიმდინარეობისას კოლეჯი ყოველ მეორე სამუშაო დღეს, რეგისტრაციის ვადის ამოწურვის შემდეგ კი მომდევნო სამუშაო დღეს, უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომ საფეხურებზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

დარეგისტრირებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა ბაზების სამინისტროსთვის მიწოდებას.

კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ კოლეჯს 2016 წლიდან ყავს ინკლუზიური სპეციალისტი. საჭიროების შემთხვევაში მოხდება მისი ჩართვა სასწავლო პროცესში. კოლეჯის ბიბლიოთეკარმა ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ მას წინასწარ მიეწოდება ინფორმაცია სსსმ პირთან დაკავშირებით და შესაბამისად მიიღებენ ზომებს სასწავლო რესურსებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა შეფასებით, სსსმ პირებს წვდომა ექნებათ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებული იქნება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

7.პროგრამა ფინანსურად მდგრადია, რადგან პროგრამის დამატება, განხორციელება და მიმდინარეობა ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ, კოლეჯი ვაუჩერული დაფინანსების სახით იღებს სახელმწიფოსგან თითოეული სტუდენტის სწავლის საფასურს კოლეჯში განსახორციელებელი მოდულების ღირებულების შესაბამისად მთლიან პროგრამაზე. ვაუჩერული დაფინანსებიდან გაიცემა პროფესიული განათლების მასწავლებლების შრომის ანაზღაურება (საათების რაოდენობა გაწერილია შრომით ხელშეკრულებაში), სასწავლო მიზნით გაწეული ხარჯი. პროგრამის ბიუჯეტის გათვლის დროს გათვალისწინებულია რენტაბელური სტუდენტთა რაოდეონობა, დაწესებულებამ განაცხადით წარმოადგინა პროგრამის განხორციელების საპროგნოზო ბიუჯეტი. ბიუჯეტში გაწერილია შემოსავლისა და ხარჯების სახეები.
კოლეჯს განსაზღვრული აქვს პროგრამის ბიუჯეტი, სადაც დგაწერილია <u>შემოსავლების ნაწილი</u> და <u>ხარჯების ნაწილი. შემოსავლების ნაწილში</u> სულ განსაზღვრულია - 82 490,88 ლარი და <u>ხარჯების ნაწილში</u> - 82 490,88 ლარი. ხარჯების ნაწილი მოიცავს: მასწავლებლის შრომის ანაზღაურება (ვაუჩერული დაფინანსება) – 33 750 ლარი; ადმინისტრაციულ ხარჯებს (პროგრამული დაფინანსება) – 46 090, 88 ლარი. რენტაბელობის ზღვარი არის 8 სტუდენტი. <u>აღსანიშნავია, რომ პროგრამის</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

<u>ბიუჯეტის ხარჯების ნაწილში, ბიუჯეტის პროცენტული მაჩვენებლების სვეტში არასწორად არის განსაზღვრული პროცენტული მაჩვენებლები. სასურველია გასწორდეს უზუსტობა.</u>

ექსპერტთა შეფასებით, პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მეხილეობა", (დირექტორის მ/შ ბრძანება № 04/35, 12.06.20. ცვლილება განხორციელდა 23.06.2020 №37 ბრძანებით).
- ბიბლიოთეკის წიგნადი და ელექტრონული ფონდი.
- კოლეჯის ვებ გვერდი https://lakada.edu.ge/.
- პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები.
- „პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესში“ (დამტკ. 2017 წლის 2 ნოემბრის N230 ბრძანებით)
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №125/ნ 2019 წლის 19 ივნისი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კოლეჯ „ლაკადას“ წესდების დამტკიცების შესახებ“.
- „სსიპ პროფესიული კოლეჯი „ლაკადა“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“. დამტკიცებული დირექტორის მ/შ მიერ N158 ბრძანებით (21.08.2018).
- „ბიბლიოთეკის მუშაობის წესი“, დამტკიცებული დირექტორის მ/შ მიერ N04/37 ბრძანებით (14.05.2019).
- განაცხადით წარმოდგენილი მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
- ხელშეკრულებები და მემორანდუმი პარტნიორ ორგანიზაციებთან.
- ინტერვიუს შედეგები.
- ვიზუალური დათვალიერება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

შეფასება:

☐შეესაბამება
☒მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

2.3. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებსპროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დირექტორის მ/შ 2019 წლის 15 მაისის N04/43 ბრძანებით დამტკიცებულია „განათლების ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები“, რომელიც ითვალისწინებს „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ ციკლის პრინციპებს. აღნიშნულ დოკუმენტის მე-2 მუხლში გაწერილია სწავლების შეფასების ციკლის ეტაპები - დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე. „დაგეგმის“ ციკლი ითვალისწინებს სწავლების გაუმჯობესების მიზნით ჩასატარებელი ღონისძიებები. დგინდება შესრულების შეფასების მტკიცებულებების სახეები და განმახორციელებლები. დაგეგმილია პროფესიული მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლება, სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მიზნით ახალი მექანიზმების დანერგვა. აღნიშნულია, რომ პარტნიორ დამსაქმებლებთან კომუნიკაციის გაუმჯობესების მიზნით შემუშავდა ახალი კითხვარები და ხორციელდება მისი დატესტვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

ციკლი „განახორციელე“ მოიცავს სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფას ისეთი აქტივობებს, როგორიცაა მეცადინეობებზე დასწრება, სასწავლო პროცესის ხარისხთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირება, სტუდენტთა მოტივაციის გაზრდა, საწარმოო პრაქტიკის ორგანიზება დასაქმების პერსპექტივების გათვალისწინებით და სხვ. „შეამოწმე“ ციკლი მოიცავს სასწავლო პროცესების რეგულარულ შემოწმებას და ანგარიშგებას. „განავითარე“ ციკლი მოიცავს ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ ხარვეზების მიზეზების გამოვლენასა და რეკომენდაციების წარდგენას.

დირექტორის მ/შ 2019 წლის 14 მაისის N04/39 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი“, რომელშიც გაწერილია შეფასების პრინციპები და განმეორებითი შეფასების პირობები.

დირექტორის მ/შ 2017 წლის 2 ნოემბრის N230 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესი“, რომელიც ასახავს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების უფლებებსა და პირობებს. დოკუმენტის მე-9 მუხლი განსაზღვრავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტის ჩარიცხვის წესს. ასევე 2020 წლის 18 მაისის N04/22 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომლის მე-2 მუხლი განსაზღვრავს პროფესიული განათლების მიღების უფლებებს; მე-3 მუხლით რეგულირდება პროგრამის კატალოგის შემუშავებისა და მასში ცვლილებების შეტანის საკითხები; მე-5 მუხლში რეგულირდება სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები; მე-6 მუხლში განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები; დოკუმენტის მომდევნო მუხლებში განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების და სტატუსის შეწყვეტის საფუძვლები, მობილობა და მიღებული განათლების აღიარების წესი. მე-11 მუხლში გაწერილია სტუდენტის შეფასების სისტემა. მე-10 მუხლში განსაზღვრულია ფორმალური განათლების აღიარების წესი. არსებული ჩანაწერებით მიღებული განათლების აღიარება შესაძლებელია განხორციელდეს წინმსწრები ფორმალური განათლების აღიარების გზით, რაც გამოიხატება მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით და შესაბამისი კრედიტების მინიჭებით.

დირექტორის მ/შ 2019 წლის 7 მაისის N04/34 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშვების წესი და მასში ცვლილების შეტანის პროცედურა“. დოკუმენტში განსაზღვრულია მოდულური პროგრამის შემუშვების პროცედურა, მოდულური პროგრამის შემუშავების წესი, მოდულის შემუშავების წესი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

კრედიტებით გაანგარიშების წესი, პროგრამებში ცვლილების შეტანის წესი. პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია დირექტორის მიადგილეს, ხარისხის მართვისა მენეჯერს, პროგრამის ხელმძღვანელს, პროგრამის განმახორციელებელ ნებისმირ პირს, მოდულური პროგრამების დანერგვის მხარდაჭერის ჯგუფის წევრებს დასაბუთებული წერილობითი განმარტების საფუძველზე.

დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებულია 2019 და 2020 წლების საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, რომელიც მოიცავს ქვესტანდარტით გათვალისწინებულ სავალდებულო ინფორმაციას პროგრამის მიზნების, მისანიჭებელი კვალიფიკაციის, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ. ასევე, დასაქმების შესაძლებლობები და სწავლების ხანგრძლივობა. კატალოგში დამატებით ასევე მოცემულია კოლეჯის მისია და ისტორია.

ინტერვიურებისას კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ატარებენ კვლევებს შრომის ბაზრის მოთხოვნებთან დაკავშირებით. ასევე კვლევებს ატარებენ ქალაქისა და მიმდებარე რეგიონების სკოლებში. კოლეჯმა წარმოადგინა კვლევები და კვლევებში მონაწილეთა სია. კვლევებმა აჩვენა, რომ მეხილეობის მიმართულებით გამოიკვეთა სკოლის მოსწავლეთა ინტერესი.

პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ პრაქტიკას და სხვ.

2.დირექტორის მ/შ 2019 წლის 15 მაისის N04/43 ბრძანებით დამტკიცებულია „განათლების ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები“, რომელიც ითვალისწინებს „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ ციკლის პრინციპებს. დაწესებულებაში გაცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა მიმდინარეობს კოლეჯის დირექტორის მ/შ მიერ 2018 წლის 21 აგვისტოს N159 ბრძანებით დამტკიცებული „საქმისწარმოების წესის“ შესაბამისად. დოკუმენტის შესაბამისად, კოლეჯში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული საქმისწარმოების ავტომატიზირებული სისტემის (შემდგომში - სისტემა) გამოყენების საშუალებით, შესაბამისი პროგრამის - ,,eflow”-ის მეშვეობით. ელექტრონული საქმისწარმოება გულისხმობს დოკუმენტის მიღებას, დამუშავებას, რეგისტრაციას, მატერიალური ფორმით შემოსული დოკუმენტის ელექტრონულ ფორმატში გადაყვანას, ადრესატისათვის დაუყოვნებლივ გადაგზავნას და შენახვას. დოკუმენტების დამუშავება ხდება სისტემის მეშვეობით, რომელიც მოიცავს დოკუმენტების რეგისტრაციას და მის საფუძველზე შექმნილ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ი. ფ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: თ. ხ.

PDF Eraser Free

საინფორმაციო საძიებო მასივებს, მატერიალური და ელექტრონული დოკუმენტების შენახვას, ელექტრონულ დოკუმენტებზე მუშაობის კომპიუტერულ ორგანიზებას და შესრულების ოპერატიულ კონტროლს. კოლეჯში ამ წესით გათვალისწინებული დოკუმენტები შეიძლება მომზადდეს, ხელმოწერილ იქნას და გაიგზავნოს მატერიალური და ელექტრონული ფორმით. კოლეჯში შემოსული დოკუმენტი გადის შემდეგ ეტაპებს:

ა) პირველადი დამუშავება და წინასწარი გარჩევა;

ბ) რეგისტრაცია;

გ) ხელმძღვანელობის მიერ განხილვა;

დ) შემსრულებლებისათვის კონკრეტული დავალების მიცემა;

ე) შესრულების ვადის განსაზღვრა;

ვ) შემსრულებელთათვის გადაცემა.

აღნიშნული დოკუმენტის მე-3 თავში განსაზღვრულია „საქმისმწარმოებლის უფლება-მოვალეობები, ნომენკლატურის შედგენისა დაკავშირებული რეგულაციები“.

დამტკიცებულია სსიპ პროფესიული კოლეჯის ,,ლაკადა“ დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2018 წლის 21 აგვისტოს №159 ბრძანებით „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში მუშაობის წესი“. დოკუმენტის მე-2 მუხლში განსაზღვრულია „რეესტრში კოლეჯის შესახებ შესატანი ინფორმაცია“; მე-3 მუხლში გაწერილია „რეესტრში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ შესატანი ინფორმაცია“; მე-5 მუხლში მოცემულია „რეესტრში საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შესახებ“ შესატანი ინფორმაცია.

კოლეჯმა წარმოადგინა „საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგის ჯგუფის მუშაობის მეთოდოლოგიის და შიდა ვერიფიკაციის პროცედურების დამტკიცების შესახებ“ დოკუმენტი (ბრძანება №04/27. 05.06.2020 წ). შიდა მონიტორინგის ჯგუფის მუშაობის მეთოდოლოგიით განსაზღვრულია მონიტორინგის ჯგუფის შექმნის პირობები, მონიტორინგის ჯგუფის ამოცანები, შიდა მონიტორინგის განხორციელების ეტაპები და მონიტორინგის განხორციელების მოსალოდნელი შედეგები. მონიტორინგის განხორციელების მოსალოდნელი შედეგების პუნქტში გაწერილია განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ხელშემწყობი ცალკეული მიდგომების დანერგვის საკითხები. დოკუმენტის დასკვნით ნაწილში განსაზღვრულია მონიტორინგის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

ინსტრუქციის შემუშავების მიზანი-სწორად წარმართოს მოდულური პროგრამის განხორციელება/განვითარებაზე მიმართული საქმიანობა.

კოლეჯმა წარმოადგინა „შიდა ვერიფიკაციის პროცედურები“ (ბრძანება №04/27. 05.06.2020 წ). დოკუმენტში განსაზღვრულია შემოწმების მახასიათებლები - ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალობა, ობიექტურობა, სამართლიანობა. განსაზღვრულია ვერიფიკაციის სამიზნე ინსტრუმენტების შეჩევა (რისკების სისტემა). აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი აკეთებს საბოლოო დასკვნას. საჭიროების შესაბამისად შეიმუშავებს ხარვეზების გამოსწორების გეგმას და ახდენს შემუშავებული გეგმის შესრულების მონიტორინგს.

ექსპერტთ შეფასებით, პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მეხილეობა", (დირექტორის მ/შ ბრძანება № 04/35, 12.06.20. ცვლილება განხორციელდა 23.06.2020 №37 ბრძანებით).
- სსიპ-კოლეჯში „ლაკადა“ პროგრამების დამტკიცებისა, მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი (დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის მ/შ-ს 11.06.2020 №04/32 ბრძანებით)
- „პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი“, N04/39 ბრძანებით დამტკიცებული. (14.05.2019 წ).
- „პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესი“, N230 ბრძანებით დამტკიცებული. (02.11.2017 წ).
- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, დირექტორის მ/შ N04/22 ბრძანებით დამტკიცებული. (18.05.2020 წ).
- „განათლების ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები“, დირექტორის მ/შ N04/43 ბრძანებით დამტკიცებული. (15.05. 2019 წ).
- „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში მუშაობის წესი“, დირექტორის მ/შ №159 ბრძანებით დამტკიცებული.. (21.08. 2018 წ).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ი. ფ...

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: თ. ...

PDF Eraser Free

- „საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგის ჯგუფის მუშაობის მეთოდოლოგიის და შიდა ვერიფიკაციის პროცედურების დამტკიცების შესახებ“ , დირექტორის მ/შ ბრძანება №04/27. (05.06.2020 წ).
- ბიბლიოთეკის წიგნადი და ელექტრონული ფონდი.
- „ბიბლიოთეკის მუშაობის წესი“, დამტკიცებული დირექტორის მ/შ მიერ N04/37 ბრძანებით (14.05.2019).
- განაცხადით წარმოდგენილი მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
- მემორანდუმები პარტნიორ ორგანიზაციებთან.
- ინტერვიუს შედეგები.
- ვიზუალური დათვალიერება.
- კოლეჯის ვებ გვერდი https://lakada.edu.ge/.
- პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები.

შეფასება:

☒შეესაბამება

☐მეტწილად შეესაბამება

☐ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

2.4.სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამა ითვალისწინებს ზოგად და სავალდებულო პროფესიულ მოდულებს, კერძოდ: 7 ზოგადი მოდული - 18 კრედიტის მოცულობით, 23 სავალდებულო პროფესიული მოდული - 72 კრედიტის მოცულობით. <u>აღსანიშნავია, რომ სავალდებულო მოდულების განსახორციელებლად ხელშეკრულება გაფორმებულია ორ პირთან. მოდულების რაოდენობიდან გამომდინარე სასურველია კოლეჯმა დაიმატოს კიდევ ერთი დარგის სპეციალისტი ორ ცვლაში სწავლების განხორციელების შეუფერხებლად წარმართვის მიზნით.</u>

პროგრამის სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის თანმიმდევრულ განხორციელებას. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ორი სასწავლო გეგმა: ქართულენოვანი და არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის. ქართულენოვანი სტუდენტებისასთვის სასწავლო გეგმით განსაზღვრულია 66 სასწავლო კვირა, 90 კრედიტის მოცულობით, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის 88 სასწავლო კვირა 120 კრედიტის მოცულობით. გეგმაში დაცულია მოდულის წინაპირობები და სტუდენტის კვირეული დატვირთვა. წინაპირობიანი მოდულები ერთი კვირის დაშორებით იწყება. სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში (დამტკ. 14.05.2019წ. ბრძ.№04/38) მე-19 მუხლში „სტუდენტის მიერ შეფასების შედეგების გასაჩივრების წესში“ ვკითხულობ, რომ:

ა).გასაჩივრების (აპელაციის) შემთხვევაში შედეგის გაცნობიდან, მაქსიმუმ სამი სამუშაო დღის ვადაში პროფესიულმა სტუდენტმა წერილობითი განაცხადით უნდა მიმართოს დირექტორს რომელიც არაუგვიანეს ორი სამუშაო დღისა იღებს გადაწყვეტილებას შედეგის განხილვა/არგანხილვის თაობაზე. (სააპელაციო კომისიის შემადგენლობაში შედიან: დირექტორის მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესი, და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი, მასწავლებლები)

ბ). კომისია ორი სამუშაო დღის განმავლობაში განიხილავს პროფესიული სტუდენტის მიერ შეფასების საკითხს და საკმარისი /ავთენტური მტკიცებულების არ არსებობის შემთხვევაში შესაძლოა დაინიშნოს განმეორებითი შეფასება. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება 2 დღის პერიოდში ეცნობება პროფესიულ სტუდენტს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

პსდ-ს მიეცა რეკომენდაცია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში დააზუსტოს არსებული ჩანაწერი, რათა, ნათლად ჩანდეს რომ ერთი კვირა, რომელიც სასწავლო გეგმის მიხედვით წინაპირობიან მოდულებს შორისაა საკმარისია შედეგის დაუდასტურებლობის შემთხვევაში მისი განმეორებითი დადასტურებისთვის.

ექსპერტთ შეფასებით, პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

2.ინტერვიურებისას კოლეჯის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ზოგადად კოლეჯში დამკვიდრებული პრაქტიკით სწავლა პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით ხორციელდება.

„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში“ (ბრძ. N04/22. 18.05.2020 წ) მე-4 მუხლში გაწერილია სასწავლო პროცესის ორგანიზების პირობები. დოკუმენტის მე-6 მუხლში გაწერილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები. საგანმანათლებლო დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმები სხვადასხვა კოლეჯებთან. პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში კოლეჯი იმოქმედებს გაწერილი რეგულაციების მიხედვით.

ექსპერტთა მოთხოვნით კოლეჯმა წარმოადგინა პროფესიულ სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულება. აღნიშნულ დოკუმენტში კოლეჯის ვალდებულებებში გაწერილია, რომ კოლეჯი ვალდებულია დაიცვას პროფესიული სტუდენტის პერსონალური მონაცემები (არ გასცეს მესამე პირზე პროფესიული სტუდენტის მიღწევები).

ექსპერტთა შეფასებით, პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

3„მეხილეობის“ პროგრამაზე სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. პროგრამის ხელმძღვანელმა და პროფესიული განათლების მასწავლებლებმა ინტერვიურებისას გამოხატეს მზაობა, რათა მოხდეს მათი გადამზადება სხვადასხვა საკითხებზე, მათ შორის სწავლების თანამედროვე მეთოდებზე, შეფასების მეთოდებზე, შეფასების ინსტრუმენტების შექმნასთან დაკავშირებულ საკითხებზე და სხვ. კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ დატრენინგებას განახორციელებენ როგორც საკუთარი მექანიზმებით, ასევე ხელს შეუწყობენ მონაწილეობა მიიღონ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

ექსპერტთა შეფასებით, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

4..ინტერვიურებისას კოლეჯის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. კოლეჯს გააჩნია გამოცდილება შშმ და სსსმ პირებისათვის უზრუნველყოს დამატებითი ხელშეწყობის პირობები სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების დროს. ინტერვიურებისას კოლეჯის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოდულური მიდგომით სწავლის განხორციელებისას სასწავლო პროცესის ორგანიზება მოხდება სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით და მათთვის ყველა ხელშეწყობის ღონისძიება იქნება ხელმისაწვდომი.
„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში“ (ბრძ. N04/22. 18.05.2020 წ), მე-4 მუხლში გაწერილია სასწავლო პროცესის ორგანიზების პირობები. დოკუმენტის 4.4. პუნქტში, მოდულური პროგრამების შემთხვევისათვის გაწერილია, რომ პროფესიული განათლების მასწავლებელი ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტთან შეთანხმებით ადგენს მოდიფიცირებულ სასწავლო მასალას სსსმ პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე. „პროფესიული სტუდენტის შეფასების წესის“ მე-9 პუნქტის მიხედვით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის მიზნით, შშმ და სსსმ პირები პროგრამაზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობების დაძლევის გარეშე.
ექსპერტთა შეფასებით, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

5.პსდ-ს პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული აქვს მემორანდუმი და ხელშეკრულებები ურთიერთთანამშრომლობის შესახებ. დაწესებულებას მოძიებული აქვს ოთხი პრაქტიკის ობიექტი:

- შპს „ აგრო ლია 2014“ ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 31.12.2022.
- შპს „ გემუანი“ ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 10.06.2021.
- შპს „ გეო ფრეში“ ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 31.12.2022.
- შპს „ აგრო ლია 2014“ ხელშეკრულების მოქმედებს უვადოდ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

<u>სასურველია შპს „გემუანთან“ დადებული ხელშეკრულება გაფორმდეს ერთ წელზე მეტი ვადით, მინიმუმ პროგრამის განხორციელების ვადის დასრულებამდე.</u>

მემორანდუმის და ხელშეკრულებების საგანს წარმოადგენს „მეხილეობის“ პროფესიული პროგრამის მსურველებისათვის პრაქტიკული კომპონენტის სწავლება, პრაქტიკული უნარ ჩვევების განმტკიცება, პროფესიულ გარემოში ინტეგრირება და სხვ. დოკუმენტებში გაწერილია კოლეჯისა და პარტნიორი კომპანიების ვალდებულებები. პრაქტიკის ობიექტი ვალდებულია განახორციელოს კონტროლი პროფესიული სტუდენტებზე მთელი პრაქტიკის განმავლობაში და შეაფასოს სტუდენტი კოლეჯში გავრცელებული წესების შესაბამისად. დაწესებულება უზრუნველყოფს გამოყოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროფესიული განათლების პედაგოგი/პრაქტიკის ხელმძღვანელი, რომელივ განახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა ზედამხედველობას და შესაბამისი მითითებების მიცემას პრაქტიკის განმავლობაში. ასევე აწარმოებს პრაქტიკაზე მისულ სტუდენტთა აღრიცხვას. პრაქტიკის ობიექტი ვალდებულია შექმნას სტუდენტებისათვის უსაფრთხო სასწავლო-სამუშაო გარემო, გააცნოს სტუდენტებს ტექნიკის გამოყენებისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ნორმები, მისცეს წვდომა პროფესიულ სტუდენტებს იმ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენებაზე, რომელიც საჭიროა პროფესიული უნარ-ჩვევების გამოსამუშავებლად.

მემორანდუმსა და ხელშეკრულებებში განსაზღვრულია ის მოდულები, რომლის სწავლის შედეგების მიღწევაც განხორციელდება რეალურ სამუშაო გარემოში. კერძოდ:

1. სს“გეოფრეში“ უზრუნველყოფს „მეხილეობის“ პროგრამაში მოდული **„ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების აღება და შენახვა“** 2-3 სწავლის შედეგების პრაქტიკული ნაწილის განხორციელებას.

2. პრაქტიკის ობიექტი შპს „გემუანი“ უზრუნველყოფს „მეხილეობის“ პროგრამაში მოდულების - **„ხილის დახარისხება და შენახვა“** (სწავლის შედეგი -3), **„ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების აღება და შენახვა“** (სწავლის შედეგი -2) პრაქტიკული ნაწილის განხორციელებას.

3. პრაქტიკის ობიექტი შპს „აგრო ლია 2014“ უზრუნველყოფს „მეხილეობის“ პროგრამაში მოდულების - **„ნიადაგის დამუშავების საფუძვლები“** (ს/შ-3) , **„საირიგაციო და სადრენაჟე სისტემის გამოყენება“** (ს/შ 2) , **„ხეხილის სხვლა-ფორმირება“** (ს/შ 2-3), **„ხეხილოვანი კულტურების ბაღის მოვლა“** (ს/შ 2-3-4) პრაქტიკული ნაწილის განხორციელებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

4. პრაქტიკის ობიექტი [redacted] უზრუნველყოფს „მეხილეობის“ პროგრამაში მოდულების - **„საირიგაციო და სადრენაჟე სისტემები“** (ს/შ-2), **„ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების მოვლა“** (ს/შ-2) პრაქტიკული ნაწილის განხორციელებას.

ექსპერტთა შეფასებით, პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.

6.კოლეჯის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის №163 ბრძანებით (30.08.2018 წ) დამტკიცებულია „უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი“. დოკუმენტში განსაზღვრულია. უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფორმები (მუხლი 2), ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესები (მუხლი 3) და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესები (მუხლი 4). დოკუმენტში წარმოდგენილია ცეცხლმაქრის გამოყენების ინსტრუქცია და ხანძრის შემთხვევაში მოქცევის წესები.

კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რამოდენიმე მასწავლებელი გადამზადებულია გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მიერ 2018 წელს განხორციელებულ ტრენინგებში, რომელიც ეხებოდა შრომის უსაფრთხოების საკითხებს. აღნიშნული უდასტურდებათ სერთიფიკატით.

აღსანიშნავია, რომ კოლეჯს მიმდინარე ეტაპზე უსაფრთხოების სპეციალისტი არ ყავთ. უსაფრთხოების სპეციალისტის ფუნქცია გაწერილია ერთ-ერთ თანამშრომელზე, რომელიც პასუხისმგებელია უსაფრთხოების საკითხებზე.

კოლეჯის ვიზუალური დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ კედლებზე გამოკრულია უსაფრთხოების ნიშნები, საევაკუაციო გეგმები. განლაგებულია ცეცხლმაქრები, რომელსაც პერიოდულად ამოწმებს შესაბამისი სამსახური.

<u>„მეხილეობის“ პროგრამა სპეციფიკიდან გამომდინარე, არ საჭიროებს დამატებით უსაფრთხოების წესებს.</u>

ექსპერტებმა ინტერვიურება განახორციელეს ყველა პარტნიორი კომპანიის წამომადგენელთან. მათ აღნიშნეს, რომ სრულად იღებენ პასუხისმგებლობას იმ ვალდებულებების შესრულებაზე, რაც დაეკისრათ ხელშეკრულებების ფარგლებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალური აღსაჭურვი საშუალებებით უზრუნველყოფას მოახდენს კოლეჯი. სტუდენტების უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობას სრულად იღებენ პარტნიორი კომპანიები კომპანიებში სწავლების განხორციელების პროცესში.

ექსპერტთა შეფასებით, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- „პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი“, N04/39 ბრძანებით დამტკიცებული. (14.05.2019 წ).
- „პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესი“, N230 ბრძანებით დამტკიცებული. (02.11.2017 წ).
- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, დირექტორის მ/შ N04/22 ბრძანებით დამტკიცებული. (18.05.2020 წ).
- „განათლების ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები“, დირექტორის მ/შ N04/43 ბრძანებით დამტკიცებული. (15.05. 2019 წ).
- „სსიპ-კოლეჯ „ლაკადას“ უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი“. კოლეჯის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის №163 ბრძანებით დამტკიცებული (30.08.2018 წ).
- პარტნიორ კომპანიებთან გაფორმებული მემორანდუმი და ხელშეკრულებები.
- ინტერვიუს შედეგები.
- ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

☒შეესაბამება
☐მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

2.4.2.შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კოლეჯმა წარმოადგინა „საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგის ჯგუფის მუშაობის მეთოდოლოგიის და შიდა ვერიფიკაციის პროცედურების დამტკიცების შესახებ“ დოკუმენტი (ბრძანება №04/27. 05.06.2020 წ). შიდა მონიტორინგის ჯგუფის მუშაობის მეთოდოლოგიით განსაზღვრულია მონიტორინგის ჯგუფის შექმნის პირობები, მონიტორინგის ჯგუფის ამოცანები, შიდა მონიტორინგის განხორციელების ეტაპები და მონიტორინგის განხორციელების მოსალოდნელი შედეგები. მონიტორინგის განხორციელების მოსალოდნელი შედეგების პუნქტში გაწერილია განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ხელშემწყობი ცალკეული მიდგომების დანერგვის საკითხები. დოკუმენტის დასკვნით ნაწილში განსაზღვრულია მონიტორინგის ინსტრუქციის შემუშავების მიზანი-სწორად წარმართოს მოდულური პროგრამის განხორციელება/განვითარებაზე მიმართული საქმიანობა. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი აკეთებს საბოლოო დასკვნას. საჭიროების შესაბამისად შეიმუშავებს ხარვეზების გამოსწორების გეგმას და ახდენს შემუშავებული გეგმის შესრულების მონიტორინგს.

ინტერვიურებისას კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერმა აღნიშნა, რომ მონიტორინგის ჯგუფი იქმნება კოლეჯის დირექტორის მ/შ ბრძანებით. აღნიშნულ ჯგუფში შეიძლება შევიდეს კოლეჯის დირექტორის მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერი, პროგრამის ხელმძღვანელი, წამყვანი პროფესიული განათლების მასწავლებელი, სასწავლო დარგის მენეჯერები. მონიტორინგის ჯგუფს ყავს კოორდინატორი, რომელმაც უნდა განახორციელოს შემდეგი აქტივობები:

-მონიტორინგის ჯგუფის წევრთა და მოდულის განმახორციელებელი პირების აქტივობების კოორდინირება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

-მონიტორინგის პროცესის კითხვარების შეგროვება და ანალიზი.

-ანგარიშის მომზადება.

კოლეჯმა წარმოადგინა „შიდა ვერიფიკაციის პროცედურები“ (ბრძანება №04/27. 05.06.2020 წ). დოკუმენტში განსაზღვრულია შემოწმების მახასიათებლები - ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალობა, ობიექტურობა, სამართლიანობა. განსაზღვრულია ვერიფიკაციის სამიზნე ინსტრუმენტების შეჩევა (რისკების სისტემა). დოკუმენტის მიხედვით ვერიფიკაციაზე პასუხისმგებელი პირი არის ხარისხის მართვის მენეჯერი, რომელიც უზრუნველყოფს ვერიფიკაციის გეგმის შედგენას, ვერიფიკაციის სამიზნე ინსტრუმენტის შედგენას, ვერიფიკატორების ინსტრუქტაჟს, შემოწმებული ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების გამოთხოვას, რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგს და სხვ. სასწავლო პროცესისა და სასწავლო საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი ამოწმებს ინსტრუმენტების შეფასების მიმართულებასთან შესაბამისობას, მტკიცებულებათა ვალიდურობის შეფასებას და სხვ.

ინტერვიურებისას კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერმა აღნიშნა, რომ იქმნება ვერიფიკაციის განმახორციელებელი ჯგუფი. კოლეჯის დირექტორის მ/შ ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით ამტკიცებს შიდა ვერიფიკატორს და ვერიფიკავიის ჩატარების თარიღს.

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

2.დირექტორის მ/შ 2019 წლის 14 მაისის N04/39 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი“, რომელშიც გაწერილია შეფასების პრინციპები და განმეორებითი შეფასების პირობები.

2020 წლის 18 მაისის N04/22 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომლის მე-2 მუხლი განსაზღვრავს პროფესიული განათლების მიღების უფლებებს. დოკუმენტის მე-11 მუხლში გაწერილია სტუდენტის შეფასების სისტემა, სადაც აღწერილია მოდულური პროგრამის პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების სახეები -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

განმავითარებელი და განმსაზღვრელი. დოკუმენტის მე-12 მუხლში განსაზღვრულია სტუდენტის მიერ შეფასების შედეგების გასაჩივრების პროცედურა.

დირექტორის მ/შ 2019 წლის 14 მაისის N04/39 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი“, რომელშიც გაწერილია შეფასების პრინციპები და განმეორებითი შეფასების პირობები.

ექსპერტთა შეფასებით, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

3.დირექტორის მ/შ 2019 წლის 30 დეკემბრის N04/122 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული სტუდენტის შეფასების მტკიცებულების აღრიცხვის წესი“. დუკუმენტში გაწერილია, რომ შეფასების მტკიცებულებები მოდულის მიმდინარეობის პროცესში ინახება სტუდენტის პორტფოლიოში. კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ სტუდენტის შეფასების უწყისები და მტკიცებულებები მიღება-ჩაბარების აქტით გადაეცემა დაწესებულების არქივს მტკიცებულებები 3 წლის ვადით და უწყისები უვადოთ.

ექსპერტთა შეფასებით, პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

4. სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს სტუდენტების გაგების/გააზრების დონე და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის.

ექსპერტთა შესაფებით, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- „საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგის ჯგუფის მუშაობის მეთოდოლოგიის და შიდა ვერიფიკაციის პროცედურების დამტკიცების შესახებ“ დოკუმენტი (ბრძანება №04/27. 05.06.2020 წ).
- „შიდა ვერიფიკაციის პროცედურები“ (ბრძანება №04/27. 05.06.2020 წ).
- „პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი“, N04/39 ბრძანებით დამტკიცებული. (14.05.2019 წ).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“. 2020 წლის 18 მაისის N04/22 ბრძანებით დამტკიცებული.
- „პროფესიული სტუდენტის შეფასების მტკიცებულების აღრიცხვის წესი“. .დირექტორის მ/შ 2019 წლის 30 დეკემბრის N04/122 ბრძანებით დამტკიცებული.
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒შეესაბამება
☐მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება☐

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი
დანართი 2. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

თარიღი: 24.07.2020 წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: